პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 103 (19545) ◆ კვირა, 4 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა



მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო მეტია მასში დაკვირვება, ოპერატიულობა და ნაკლები — შემთხვევითი, სენსაციური ამბების გამოდევნება.

მ. გორბაჩოვი.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხვალ 5 ერთიანი ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი სიტყვის დღეა

ციფრები და ფაქტები

● **ბეჭდვითი** სიტყვის დღე პირველად აღინიშნა 1914 წელს, გაზეთ „პრავდის“ გამოსვლის მეორე წლისთავზე, მეფის მთავრობის მხრივ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის გაძლიერებული დევნის ვითარებაში.

ბეჭდვითი სიტყვის დღის საზეიმო აღნიშვნა განახლდა 1922 წელს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პრავდის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით.

● **ამჟამად** საბჭოთა კავშირში გამოდის 8 ათასი გაზეთი, რომელთა საერთო ერთჯერადი ტირაჟი 176 მილიონია. ამაში შედის 31 ცენტრალური, 158 რესპუბლიკური და ასობით სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთი. 3 ათასზე მეტ მსხვილ საწარმოს აქვს თავისი მრავალტირაჟიანი გაზეთი. გამოდის აგრეთვე 621 საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთი.

● **ბეჭდვითი** სიტყვის საშუალებები აქვთ პროფკავშირებს, კომკავშირს და სხვა მასობრივ ორგანიზაციებს. გამოდის სპეციალიზებული ჟურნალ-გაზეთები შემდეგი დარგების მიხედვით: მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, მედიცინა, ტურიზმი, სპორტი.

საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ტრიბუნა აქვთ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებსა და კულტურის სხვა დარგების მუშაკებს. აი ზოგიერთი მონაცემი სპეციალიზებულ ცენტრალურ, რესპუბლიკურ და საოლქო გამოცემების შესახებ: ქვეყანაში გამოდის 132 კომკავშირული, 28 პიონერული, მრეწველობისა და მშენებლობის — 7, სატრანსპორტო — 44, სოფლის მეურნეობის — 6, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების — 17, მასწავლებელთა — 16, ფიზკულტურისა და სპორტის 15 გაზეთი.

● **გაზეთებსა** და ჟურნალებს ქმნიან არა მარტო პროფესიული ჟურნალისტები, არამედ მუშა და სოფლის კორესპონდენტებიც, რომელთა რიცხვი 6 მილიონს აღემატება.

● **ყოველწლიურად** გაზეთების რედაქციებში შედის საშუალოდ 60-70 მილიონი წერილი.



სურათზე: მოსკოვის ქარხანა „ჩარხაგრეგატის“ კოორდინატული შიგსაჩარხი ჩარხების საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადის წევრები შესვენების დროს მსჯელობენ გაზეთ „პრავდის“ მასალებზე.

ა. კუზაკარიოვისა და ს. ვორონინის ფოტო (საკადრისო ფოტოქრონიკა).

მუდამ ცხოვრების შუაგულში

ხვალ 5 მაისს, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ტრადიციული პროფესიული დღესასწაულია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა ვ. ი. ლენინი პრესას რევოლუციური პარტიის შექმნისა და კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლის -საქმეში, როგორ აფასებდა გაზეთის — კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის დანიშნულებას, როგორი აქტიური, შემოქმედებითი ჟურნალისტური მოღვაწეობის საუკეთესო მაგალითს აძლევდა ყველას.

და სწორედ ამ ლენინური ტრადიციებით აღზრდილი საბჭოთა ჟურნალისტების მრავალათასიანი არმია მუდამ საიმედო მეკავშირედ ედგა მხარში პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ხალხს რევოლუციის გამარჯვებისა თუ უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლის, კოლექტივიზაციის დამყარების, გერმანელ ფაშისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების, ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის უსწრაფესად აღდგენა-აღორძინების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლების, ყველა სხვა მნიშვნელოვან საქმეში. იგი მუდამ ცხოვრების, მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, მართალი პარტიული სიტყვით, პუბლიცისტური მეზნებარებით აღანთებდა მშრომელთა გულს, რაზმავდა მათ პარტიის წინასწარდასახულობათა უთუო ხორცშესხმისათვის.

დიახ, მუდამ ასე იყო და არის, მაგრამ მაინც გადაუჭარბებელად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული ჟურნალისტიკისათვის სერიოზული გამოცდის, აქტიური, მაძიებლური მუშაობის გამორჩეული პერიოდი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილი დრო, რომლის განმავლობაშიც ქვეყნის სახალხო მეურნეობის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში, სფეროში, უანგზე მოსდა ძირეული სასიკეთო გარდაქმნები, ცვლილებები, შემუშავდა შემდგომი ნინსვლის, და ამის საფუძველზე, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

მაგრამ პრესის მუშაკთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა განსაკუთრებით გაიზარდა ახლა, სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ, რომელმაც შეუალამაზებლად, ჭეშმარიტად ლენინური პრინციპულობითა და ობიექტურობით გააანალიზა საანგარიშო პერიოდში განვლილი მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, დასახა მდგომარეობის გამოკეთების, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მშრომელთა ცხოვრება-საქმიანობის პირობების გაუმჯობესების, ყველა დონეზე მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების უცილობელი გარდაქმნის კონკრეტული გზები და საშუალებები.

სწორედ საბჭოთა კომუნისტთა ამ ფორუმის გადაწყვეტილებების, მიღებული სახელმძღვანელო დოკუმენტების, ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდას, მასებისათვის გაცნობას, მათი უთუო შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვას ხმარდება ამჟამად პრესის; რადიოსა და ტელევიზიის, საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთელი ძალისხმევა. „ახლა, — აღნიშნა ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქმედითობას. ცენტრალურ კომიტეტს ეს საშუალებანი მიაჩნია აღმშენებლობის ინსტრუმენტად, უწყვრიმალობასა და კუთხურობასთან შეუთავსებელი ზოგადპარტიული თვალსაზრისის გამომხატველად და ყოველივეს, რაც პრინციპული მოსაზრებებით და საქმის გაუმჯობესების ინტერესებით არის ნაკარნახევი, პარტია კვლავაც დაუჭერს მხარს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო მეტია მასში დაკვირვება, ოპერატიულობა და ნაკლები — შემთხვევითი, სენსაციური ამბების გამოდევნება“.

ცნობილია, რომ პარტიის იდეები მხოლოდ მაშინ იქცევა რეალობად, როცა მასებს დაეუფლება. ამ მნიშვნელოვან საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება პრესას, რომელიც საჯაროობის ერთ-ერთი საუკეთესო, შეუცვლელი ინსტრუმენტია. მან გვერდი კი არ უნდა აუაროს, მიაჩუმათოს სადღეისო მტკივნეული პრობლემები, არამედ ზუსტად, ობიექტურად, საქმის ცოდნით გააშუქოს ისინი, გამოავლინოს ამის გამომწვევი მიზეზები, წინსვლის, ადამიანის უფლებების გააქტიურების დამაბრკოლებელი ფაქტორები, აჩვენოს კიდეც მათი ოპერატიული გადაწყვეტა-გამოსწორების საშუალებები, ბოლომდე მიპყვეს საქმეს, იბრძოლოს თავისი გამოსვლების ქმედითობისათვის. ყოველ პუბლიკაციაში ძალუმად უნდა იგრძნობოდეს დღევანდელობის მაჯისცემა, სიახლის გრძნობა, ძველებური ინერციით მუშაობის, რუტინის წინააღმდეგ შეურიგებლობა...

ხოლო იმისათვის, რომ პრესამ შეტი წარმატებითა და უკეთესით შეძლოს ყრილობის გადაწყვეტილებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრაზე წამოყენებული მოთხოვნების უცილობელი შესრულებისათვის ბრძოლა, მას სჭირდება ყოველდღიური სწორი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ იქ, სადაც პარტიული კომიტეტები ჯეროვნად წარმართავენ სარედაქციო კოლექტივების საქმიანობას, სათანადოდ ეხმარებიან მათ, შედეგიც კარგია — პრესის პუბლიკაციებიც გამაზნული, კონკრეტული, საქმის სასარგებლოა და მათი ქმედითობაც სასურველ დონეზეა.

დღეს, — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე ამხანაგმა ჯ. პატიაშვილმა, — მთავარია არა მარტო გავარკვიოთ, რა ვაკეთოთ, არამედ განვსაზღვროთ კიდეც — როგორ ვაკეთოთ. და აქ დიდი მუშაობა მოგვიწევს... ახლა ყველაზე მთავარია პრაქტიკულად დავრაზმოთ ადამიანები, ვერიდოთ მრავალსიტყვაობას, უფრო მტკიცედ და კონკრეტულად ვიმოქმედოთ“.

ეს სახელმძღვანელო მითითება მთლიანად ეხება პრესის, ჩვენი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს, რომელთა საქმიანობას, როგორც ეს სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ემჩნევა უღიმღამობა, ინერტულობა, სიახლისადმი სიყრუე, რომ ისინი საკმაოდ ოპერატიულად არ აშუქებენ მოვლენებს, ზერელედ უჭვენებენ ბრძოლას იმ მოწინააღმდეგეთა, პრაქტიკაში რომ მკვიდრდება.

ამგვარი მდგომარეობის უსწრაფეს გამოსწორებას უნდა მიექცეს ამჟამად პრესის მუშაკთა განსაკუთრებული ყურადღება. დღეს ზოგადი, არაფრისმომქმელი ფრაზებით კოპწიაობა, დაზეპირებულ ჭეშმარიტებათა დამოწმება, მწვავე ცხოვრებისეული მოვლენების მხოლოდ შედეგირული ჩვენება არ კმარა, რომ დავიპყროთ ადამიანთა გონება და გული. საჭიროა მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცება, საზოგადოებრივი აზრის ზუსტად ცოდნა, ადამიანებთან გულახდილი საუბარი, მათი სურვილებისა და მისწრაფებების, შეხედულებების ზედმიწევნით შესწავლა, რაც საგრძნობლად დაგვეხმარება მუშაობაში.

სწორედ ამასაც ისახავდა მიზნად ჩვენი გაზეთის რედაქცია, როდესაც 5 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა მიმართვა მკითხველებისადმი „ვიაზროვნოთ და ვიმუშაოთ ახლებურად!“ ფაქტობრივად ეს არის რედაქციის ღია პარტიულ კრებაზე განხილული და დამტკიცებული გაზეთის კოლექტივის ვალდებულებანი ქართველი მკითხველის წინაშე, რომლებსაც, როგორც აღნიშნულ წერილში არის ნათქვამი, პარტიულ აღიარებას და მოქალაქეობრივ პირობას ვარქმევთ, რათა ჟურნალისტური ვალი გვერდით ამოვუყენოთ მუშის და კოლმეურნის ვალს, დანაპირები შევასრულოთ — ვიაზროვნოთ და ვიმუშაოთ ახლებურად!

მხოლოდ ასე, მხოლოდ ამ გზით — დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობის გარდაქმნით, ახლებურად აზროვნებითა და მუშაობით უნდა უწყობდნენ ფეხს პრესის მუშაკები თანამედროვეობას, რაზმავდნენ მშრომელებს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო განხორციელებისათვის, მხოლოდ ასე შეძლებს ჩვენი პრესა შეასრულოს დიდი მისია — იყოს კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

არგენტინის, ინდოეთის, ტანზანიის, შვეიცარიის, მექსიკის, საბერძნეთის ლიდერთა წერილზე

ბატონ რაულ ალფონსინს, არგენტინის პრეზიდენტს
ბატონ რაჯივ განდის, ინდოეთის პრემიერ-მინისტრს
ბატონ მიგელ დე ლა მადრიდს, მექსიკის პრეზიდენტს
ბატონ ჯულიუს ნიერერეს, ტანზანია
ბატონ ინგვარ კარლსონს, შვეციის პრემიერ-მინისტრს
ბატონ ანდრეას პაპანდრეუს, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრს

პატივცემულო ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ 1986 წლის 8 აპრილის წერილისა და იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც გამოთქვამთ ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის ჩვენი მეცადინეობისადმი. ვიზიარებ თქვენ მიერ გამოხატულ შეშფოთებას მსოფლიოში მოვლენათა საშიში განვითარების გამო, აგრეთვე თქვენს მოსაზრებებს იმ კონკრეტული ნაბიჯებისა და მოქმედების თაობაზე, რომლებიც შეიძლება განახორციელონ უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბირთვული საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, კაცობრიობას რომ ემუქრება. ვფიქრობ, სავსებით მართალი ბრძანდებით ბირთვული გამოცდების შეწყვეტის როგორც ისეთი ღონისძიების დიდი მნიშვნელობის შეფასებაში, რომელიც დაბრკოლებს ბირთვული შეიარაღების შემდგომ სრულყოფას, ხელს შეუწყობს ბირთვული საფრთხის შემცირებას.

წერილი მივიღეთ მაშინ, როცა შეერთებულმა შტატებმა ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობას მოთხოვნების მიუხედავად, ანგარიში არ გაუწია დედამიწის სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა მოწოდებებს და 1986 წლის 10, შემდეგ კი 22 აპრილსაც მოაწყო ბირთვული გამოცდები. რა თქმა უნდა, გესმით, რომ ამ გამომწვევმა აქტმა არსებითად შეცვალა სიტუაცია.

არაერთხელ გამოგვითქვამს გაფრთხილება საჯაროდაც და პრეზიდენტ რეიგანთან ჩვენი მიმოწერის დროსაც, რომ საბჭოთა კავშირი უსასრულოდ ვერ გაახანგრძლივებს თავის ცალმხრივ მორატორიუმს. ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ აწარმოებდა არც საგამოცდო, არც მშვიდობიან აფეთქებებს, გარკვეული რისკი გასწია. ჩვენი მორატორიუმის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობდა დიდი სამხედრო პროგრამების განხორციელებას, მათ შორის ეგრეთწოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ ფარგლებშიც. ამ პროგრამების შემადგენელი ნაწილია ბირთვული აფეთქებანი ნევადის პოლიგონზე.

ამ პირობებში იძულებული გავხდით მოგვეხსნა ნებაყოფლობით ნაკისრი ცალმხრივი ვალდებულება, რომ არ ვაწარმოებთ არავითარ ბირთვულ აფეთქებებს, რადგან ვერ დავთმობთ საკუთარ უშიშროებას, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროებას. ვიმეორებ, ასეთი გადაწყვეტილების მიღება გვაიძულა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებამ.

მაგრამ ამ ახალ სიტუაციაშიც საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავ დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იღვაწოს ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის მწვავე, გადაუდებელი პრობლემის გადასაჭრელად. და ჩვენ ამ საქმეში კვლავაც თქვენი მნიშვნელოვანი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი მორატორიუმი რეალობად იქცეს. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ მომენტში დავუბრუნდეთ ორმხრივი მორატორიუმის საკითხს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ მოაწყობს ბირთულ გამოცდებს. ჩვენ მხარი დავუჭირეთ თქვენ მიერ წინათ გამოთქმულ იდეას, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავონ ბირთვული გამოცდებისგან ახალი უმაღლესი დონის შეხვედრამდე. ჩვენ ახლაც, სსრ კავშირში ბირთვული გამოცდების მოწყობაში რვა თვის ხანგამოშვების შემდეგ, არ ვჩქარობთ მათს განახლებას. მაგრამ ვაშინგტონის რეაქცია ყოველივე ამაზე კვლავ ნეგატიურია.

ამას შემიძლია დავუმატო, რომ ვაშინგტონის ფართოდ რეკლამირებული „პასუხი“ ჩვენს მოწოდებაზე — ბოლო მოეღოს ბირთვულ აფეთქებებს, სახელდობრ — ჩვენი ექსპერტების მიწვევა დასწრონ ნევადაში წარმოებულ აფეთქებებს, სხვა არა არის რა, თუ არა საღი გონების აბუჩად აგდება. ამგვარად სურთ ჩაგვაყენონ გამაღლებულ შეიარაღებაში, და არა მის შეწყვეტაში „თანამშრომლობის“ ყალბ მდგომარეობაში.

მთავარ ამოცანად რჩება საერთაშორისო-სამართლებრივი წესით ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალვა. მისი გადაწყვეტა შეიძლება მოლაპარაკების შედეგად. იმისათვის, რომ მკვდარი წერტილიდან დავძრათ ეს პროცესი, უნდა გამოვცადოთ ყველა საშესო შესაძლებლობა. როგორც იცით, ამერიკის შეერთებულ შტატებს შევთავაზეთ დაგვიწყო ორმხრივი მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ. სსრ კავშირი მზარს უჭერს აგრეთვე ამ საკითხზე სამმხრივი მოლაპარაკების განახლებას და ამას წინათ კვლავ დაგიყენა ეს საკითხი ქალბატონ ტეტჩერის წინაშე. მრავალმხრივი მოლაპარაკებისათვის კარგი შესაძლებლობანია შექმნილი განიარაღების კონფერენციაზე. და ბოლოს, მზად ვართ იმისთვისაც, რომ დავთქვათ და სამ გარემოში ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალვის თაობაზე მოსკოვის ხელშეკრულება მიწისქვეშა ბირთულ გამოცდებზეც გავავრცელოთ.

საბჭოთა კავშირი ადასტურებს, რომ მზად არის განიხილოს და გამოიყენოს კონტროლის ისეთი ღონისძიებანი, მათ შორის თქვენ მიერ შემოთავაზებულიც, რომლებიც უზრუნველყოფენ იმის საიმედო რწმენას, რომ მორიგებას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ, რომელსაც უნდა მივაღწიოთ, ყველა განუხრელად იცავს.

თქვენს წერილში სამართლიანად უკავშირებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის საკითხს პროგრესს შეიარაღების შეზღუდვის საქმეში, ბირთვული გამოცდების საკითხის გადაწყვეტას. ჟენევის შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ერთად დავთქვით, განვაგრძოთ დაწყებული დიალოგი, რომელსაც, როგორც მიგვაჩნია, უნდა მოჰყვეს პრაქტიკული შედეგები, უწინარეს ყოვლისა, უშიშროების საკითხებში. ამავე დროს შეერთებული შტატების ახლანდელი მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების, ჟენევის შეხვედრის შედეგად გაჩენილი პოზიტიური ტენდენციების გაძლიერების გზების ძიების ამოცანას. ამ მოქმედებამ, გულახდილად გეტყვით, პირდაპირი ზიანი მიაყენა აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგს.

მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ბირთვული გამოცდის შეწყვეტის საკითხის საკანონმდებლო ხასიათს, წინადადება წამოვაყენეთ უახლოეს დროს მოვაწყოთ სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი შეხვედრა ევროპაში. ეს შეხვედრა არ შეცვლიდა იმას, რომლის შესახებაც ჟენევაში მოვილაპარაკეთ. ევროპის შეხვედრაზე შეგვეძლო არსებითად შევთანხმებულიყავით ბირთვული გამოცდების შეწყვეტის თაობაზე. ამას შეიძლება მოჰყოლოდა შესაბამისი მოლაპარაკება ამ საკითხზე შეთანხმების ტექსტის შესამუშავებლად. ჩვენი ეს წინადადებანი ძალაში რჩება.

საბჭოთა კავშირი ბირთვული გამოცდების შეწყვეტასა და აკრძალვას მიიჩნევს უბრთვო მსოფლიოს კონცეფციის განხორციელების მიმართულებით წინსვლის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მისი რეალიზაციისადმი სწრაფვაში მზად ვართ ყველაზე გაბედული ნაბიჯებისათვის თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვის პირობით. ვიმედოვნებთ, რომ თქვენც კვლავ ერთობლივი მეცადინეობით ხელს შეუწყობთ იმას, რომ მოგვარდეს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კონსტრუქციული საქმიანი ურთიერთმოქმედება მათს მეცადინეობაში უბრთვო მსოფლიოს პირობებში საერთაშორისო უშიშროების უზრუნველსაყოფად. ახლა მთავარია შევაჩეროთ კაცობრიობის დაქანება ბირთვული უფსკრულისაკენ. ეს ყველას და თითოეულის საქმეა.

პატივისცემით

მ. გორბაჩოვი.



სურათზე: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მაღალი ბეჭდვის საამქროს უფროსი ვაჟა რამიშვილი და მბეჭდავი ალექსი აფრასიშვილი ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ა. ბოგოლაძის ფოტო.

მოსკოვი. გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 მაისს, და ახლა 5 მაისი აღინიშნება როგორც ბეჭდვითი სიტყვის დღე. გაზეთი დააარსა ვ. ი. ლენინმა. ლენინური „პრავდის“ მთელი სახელოვანი გზა განუყოფელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიასთან. დღეს გაზეთის ტირაჟი 11 მილიონია.

„პრავდა“ საყვარელი და ყველაზე ავტორიტეტიანი გაზეთია ჩვენს ქვეყანაში. დიდ ყურადღებას უთმობს იგი პარტიული მშენებლობის საკითხებს, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, კადრებთან მუშაობის, დისციპლინისა და მომთხოვნელობის გაძლიერების, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხებს. „პრავდის“ ყურადღების ცენტრში მუდამ არის მშრომელთა განათლებისა და კომუნისტური აღზრდის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ყოველდღიურად გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საერთაშორისო საკითხებს. გაზეთი პროპაგანდას უწევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის, ყურადღებას უთმობს მოძმე ქვეყნების სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაშუქებას, ამხილებს იმპერიალიზმის პოლიტიკასა და იდეოლოგიას.

გაზეთის ფურცლებზე ადამიანთა აზრების ფართო და თავისუფალი გამოხატვა, საქმიანი კრიტიკა, საჯაროობა მას მიაჩნია ბიუროკრატიზმის, ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით საშუალებად.

სურათზე: მიმდინარეობს გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის სხდომა.

ა. კუზაკარიოვისა და ს. ვორონინის ფოტო (საკადრისო ფოტოქრონიკა).

მეცნიერება და გარდაქმნათა სტრატეგია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება

ახალი მეცნიერული ნამუშევრების დანერგვის მექანიზმის სრულყოფა, ეფექტიანი ტექნოლოგიების შექმნა, აკადემიის ინსტიტუტების საცდელ-საკონსტრუქტორო ბაზის გაძლიერება, მეცნიერთა საქმიანობაში გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ფართო დანერგვა, ფუნდამენტური გამოკვლევების როლის გაძლიერება — ასე განსაზღვრეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრების მონაწილეებმა პირველი რიგის ამოცანები, რომლებიც ქართული მეცნიერების წინაშე დგას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ე. კ. ხარაძემ.**

მოხსენება 1985 წელს აკადემიის საქმიანობის შესახებ გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. ა. სებნიაშვილმა.**

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ლ. გუნია,** სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გ. ბ. გველესიანი.** მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ი. ჭებაშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ლ. დ. მელიქაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ს. ჟორდანია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ა. სანაძე,**

(დასასრული მე-2 გვ.)

თქვენკენ მოიჩქარიან ახალი ამბები

რა ოპერატიულიც უნდა იყვნენ რეპორტიორები, მათ მიერ მოპოვებულ ახალ ამბებს მკითხველისაკენ მიმავალ გზას უნსნის პოლიგრაფისტთა შრომა. შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალისტები მბეჭდავებს უწოდებენ თავიანთ ერთგულ თანაშემწეებს.

[...საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საგაზეთო კორპუსი. ამ ადგილს, სადაც გაზეთები იბეჭდება, სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ თავისებური „ახალი ამბების ფაბრიკა“. დაახლოებით სამი მილიონი ეგზემპლარი ცენტრალური და რესპუბლიკური გამოცემა — ასეთია მისი პროდუქციის ყოველდღიური ტირაჟი. ესოდენ რთული ამოცანის შესასრულებლად დიდ საამქროებში, რომლებიც სამეცნიერო ლაბორატორიებს მოგვაგონებენ, თითქმის განუწყვეტლივ — დილიდან გვიან ღამემდე მუშაობენ.

— თითოეულ გაზეთს ოცდაკამეტიდან, რომლებიც ჩვენთან იბეჭდება, გამოსვლის გრაფიკი აქვს. — თქვა საგაზეთო ოფსეტური საამქროს უფროსმა ტარიელ ფსუტურამ. — „ვეჩერნი ტბილისის“ შემდეგ ნახევარი საათის ინტერვალით მოდის „თბილისი“, შემდეგ რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთები, „ლელო“, „ზარია ჩოსტოკა“. ყველაზე ბოლოს — 22 საათზე ვიწყებთ „კომუნისტის“ ბეჭდვას. და მხოლოდ შემდეგ, ხელს ვკიდებთ ცენტრალურ გამოცემებს.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემებს მბეჭდავები ფოტოტელეგრაფით იღებენ. სამონტაჟოს მუშაკთა მუშაობის სრულყოფისათვის ახლანან დადგეს სპეციალური ელექტროტაბლო, რომელიც ახდენს გვერდების მიღების ფიქსირებას. „პრავდა“, „იზვესტია“, „ტრუდი“ თითქმის ერთდროულად იბეჭდება. ხოლო მბეჭდავთა სამუშაო დღე მთავრდება ღამის სამ საათზე „კომსომოლსკაია პრავდის“ გამოსვლით... ...დილის 6 საათია, ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს, მაგრამ მისი გაღვიძების პირველი ნიშანია ავტოფურგონები, რომლებიც განთიადისას ფოთოდან საგაზეთო კორპუსის ეზოდან. მეჩიდრო დასტებით მათ ჩვენთვის მოაქვთ ახალი ამბები...

მეცნიერება და გარდაქმნათა სტრატეგია

(დასასრული)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორი **რ. მ. საკანდელიძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის დირექტორი **რ. მ. გრიგოლია**, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ბ. ვ. ტეხოვი**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა საბჭოს თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თ. შ. იამანიძე**, ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ე. პ. ქიმერტელიძე**, ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნ. ნ. ვახანია**.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა**.

მოხსენებებსა და გამოსვლებში აღინიშნა რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. გასული ხუთწლედის მანძილზე მათ დაამუშავეს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის 1200-ზე მეტი თემა. აკადემიის მეცნიერები მონაწილეობენ იმ პრობლემებისა და დავალებების დამუშავებაში, რომლებიც გათვალისწინებულია 25 საერთო-საკავშირო მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამითა და 27 რესპუბლიკური პროგრამით. ქვეყნისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა 500-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის შედეგები. ამ შრომების დანერგვით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 270 მილიონი მანეთი, ამასთან ორჯერ გადააჭარბა მეათე ხუთწლედის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აქტიურად ვითარდება პარტნიორული კავშირურთიერთობა — წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ახალი ფორმა. ამის მეოხებით მეცნიერული ნამუშევრების შედეგები უფრო სწრაფად ინერგება პრაქტიკაში.

შარშან მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იმ მეცნიერული პრობლემების დამუშავებას, რომლებიც უკავშირდება კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის დაპროექტებასა და მშენებლობას, რესპუბლიკაში პირველი ატომური ელექტროსადგურის აგებას. მათემატიკური მოდელირების მეთოდებით შემუშავებულია საქართველოში ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების ოპტიმალური ვარიანტი. ბევრი რამ გაკეთდა ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ახალ მიმართულებათა განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის გახსნა. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტთან შექმნილია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინტერფერონისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა საუწყებთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო ბიოტექნოლოგიური ცენტრი. აკადემიის სისტემაში დაარსდა მეტროლოგიისა და საზომი ტექნიკის კოლექტიური გამოყენების ცენტრი.

განსაზღვრეს რა მეთორმეტე ხუთწლედში ქართული მეცნიერების ამოცანები, საერთო კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, კერძოდ, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექტივების ძალები მოხმარდება იმ ფუნდამენტური, საძიებო და გამოყენებითი გამოკვლევების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ბუნებრივ სამდიდრეთა ღრმა და ყოველმხრივ შესწავლასთან სახალხო მეურნეობაში მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის.

კიდევ უფრო მეტი დაჩქარება მიენიჭება მეცნიერების დარგებს, რომლებიც უკავშირდება მანქანათმშენებლობის, გამოთვლითი ტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის, სხვა იმ დარგების განვითარებას, რომლებიც აქტიურ გავლენას იხდენენ მანქანებისა და მოწყობილობების ახალ თაობათა შექმნაზე. პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებას, შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების გადიდებას. უპირატესი ტემპით დაიწყება გამოკვლევები ინფორმატიკის, რობოტტექნიკისა და მანიპულატორების გამოყენების დარგში.

დასახულია გაფართოვდეს ძიება პლასტიკებისა და საკომპოზიციო მასალების, კერამიკის, მინის ბოჭკოს. აგრეთვე ბიოლოგიურად აქტიური სამკურნალწამლო და კვების იმ ნივთიერებების შექმნისა და გამოყენებაში, რომლებიც მიიღება მიკრობიოლოგიური და გენურ-ინჟინრული მეთოდებით. განვითარდება აგრეთვე რესურს და ენერგოდამზოგავ სახეობათა ტექნოლოგიების მეორეული ენერგომატარებლებისა და სითბოს, მასალების ნარჩენების გამოყენებით და ა. შ.

პასუხსაგები ამოცანები დგას საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების წინაშე. მათი გამოკვლევები საჭიროა რესპუბლიკისა და კვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების დარგში ოპტიმალურ გადაწყვეტათა მისაღებად.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნაძუშევრებს ერგონომიკის, ტექნიკური ესთეტიკის, საინჟინრო ფსიქოლოგიის, ეკონომიკური კიბერნეტიკის, სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის, მათემატიკური ლოგიკის დარგში და სხვ.

სკკპ XXVII ყრილობამ, აღინიშნა მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიურ კრებაზე, დაჩქარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოსავალ წერტილად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება გამოაცხადა. და ეს ლოზუნგი კი არა, ცხოვრების და ჩვენი დღევანდელობის მოთხოვნათა ნათელი და რეალური გამოხატულებაა. უამისოდ წარმოუდგენელია სოციალური პროგრესი, სახოგადოების განვითარება. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით მეცნიერებს, რომლებიც წარმოადგენენ მამოძრავებელ ძალას ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში.

აკადემიის კრებაზე სერიოზული ყურადღება დაეთმო უახლოესი პერსპექტივისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ პრობლემებს, მათს გადაჭრაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როლსა და ადგილს. პირველი, რითაც უნდა განისაზღვროს დაჩქარების სტრატეგია ამ უბანზე, ეს არის პოტენციური შესაძლებლობათა და მიღწეული დონის გაორკეცებული ზრდა. ასეთია დროის მოთხოვნა. მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით განვითარდება. მაგალითად, 2000 წლისათვის მისი საშრეწველო პოტენციალი თითქმის ერთიორად უნდა გაიზარდოს. რა გზით უნდა მოხდეს ეს? მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ინტენსიფიკაციის გზით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს ადასლებით ორჯერ. ესეც მოითხოვს მეცნიერთა დიდ წვლილს.

კრებაზე, კერძოდ, აღინიშნა სიძნელენი, რომლებიც წარმოშვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედგომი. განვითარება დაკავშირებული არსებული შრომითი რესურსების სულ უფრო აქტიურ გამოყენებასთან, რადგან ისინი საკმაოდ შეზღუდულია. საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, მაგრამ სოფელი დღისათვის არცთუ ისე ახალგაზრდაა: ზოგიერთ მთიან რაიონში, მაგალითად, რაჭაში, შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო ასაკი 60-65 წელს შეადგენს. უფრო მეტიც, არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც ფაქტობრივად არა ჰყავთ მუშახელი. ამავე დროს ისეთი რეგიონებიც არის, სადაც მოჭარბებულია შრომითი რესურსები, რომელთა რაციონალური გადანაწილება არცთუ ისე იოლი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ ფაქტორთან. რესპუბლიკაში ერთი მუშაკის მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ბევრად ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით. ამიტომ დღეს მეცნიერული აზროვნება უნდა ემსახურებოდეს ერთ მიზანს — მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

მრეწველობის ზრდის ტემპი რესპუბლიკაში 25 პროცენტს შეადგენს. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. მაგრამ დღეს იგი საკმარისი აღარ არის. მომავალში ქალაქებისა და რაიონების სამრეწველო პოტენციალი უნდა გაიზარდოს. ყველგან უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შევიმუშაოთ ისეთი მოწინავე ტექნოლოგია, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გავადიდოთ პროდუქციის რაოდენობა და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მნიშვნელოვნად გავზარდოთ მუშის შრომის ნაყოფიერება.

გადავიყვანოთ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა ინტენსიფიკაციის რელსებზე — საკმაოდ მომწიფებული და პირველი რიგის ამოცანაა. მაგრამ წარსულში ამ საკითხისადმი ზოგიერთი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელის ვოლუნტარისტული მიდგომის შედეგად მდგომარეობა რესპუბლიკაში რამდენადმე გართულდა. თავს იჩენს სამრეწველო საწარმოთა არარაციონალური დისლოკაცია. ასე მოხდა რესპუბლიკის დედაქალაქში, სადაც თავმოყრილია მრავალი სამრეწველო საწარმო, რომელთა განლაგება უმჯობესი იქნებოდა პერიფერიაზე. მომავალში მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. და აქ მეცნიერებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. სრულიად არაბუნებრივია, რომ ხუთმილიონიან რესპუბლიკაში მილიონ ორასი ათასი კაცი ცხოვრობდეს ერთ ქალაქში. მით უმეტეს თავისებური გეოგრაფიული განლაგების ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია. ასეთ პირობებში შეუძლებელია გავითვალისწინოთ თანამედროვე ქალაქისათვის ყველა იმ პირობის შექმნა, რომლებიც შეესაბამება ადამიანთა მოთხოვნებს, XXI საუკუნეში რომ უნდა იცხოვრონ.

ამიტომ სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა უნდა განსაზღვროს ჩვენი ხვალინდელი დღის სტრატეგია, სამეცნიერო და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ერთობლივი მოქმედება, რომელიც გამორიცხავს უწყებრიობას, ვოლუნტარიზმსა და შემთხვევითობას.

სკკპ XXVII ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დისციპლინის განმტკიცებას ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. დისციპლინა, აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებაზე, — ეს არის კრებითი ცნება, რომელიც გულისხმობს ერთსა და იმავე დროს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობასაც, საქმის საყვარულსაც, კომპეტენტურობასაც, ურთიერთპატივისცემასაც, პროფესიულ თავმოყვარეობასაც... მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება მოითხოვს სწორედ მტიკეცე დისციპლინას, მაღალ შეგნებას, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში ამას ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. საჭიროა, რომ დისციპლინის განმტკიცებისათვის, კომპეტენტურობის გადიდებისათვის ბრძოლა გახდეს საყოველთაო ზრუნვის საგანი სამეცნიერო დაწესებულებებში, და ამ ბრძოლას სათავეში უნდა ჩაუდგეს მეცნიერებათა აკადემია. იგი ხომ თავის რიგებში ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებს აერთიანებს.

კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების საკითხს. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და, უწინარეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ამ ბოლო დროს რამდენადმე შენელდა მომთხოვნელობა მეცნიერთა კადრების შესახებ მთავარი წყაროს — მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისადმი. ამასთან ერთად, აღინიშნა კრებაზე, ახალგაზრდა მეცნიერებს უნდა ვენდობოდეთ, უფრო გაბედულად ვაკისრებდეთ პასუხსაგებ ამოცანებსა და პოსტებს, ვაღწევდეთ თაობათა მემკვიდრეობითობის ლენინური პრინციპების დაცვას. მეცნიერების ერთეულები როდი ქმნიან. იშვიათად ხდება, რომ მეცნიერმა ინდივიდუალურად მიაღწიოს დიდ წარმატებას მეცნიერულ ასპარეზზე. მეცნიერება კოლექტიური ცნებაა, და საუკეთესო საბოლოო შედეგებს უფრო ხშირად მეცნიერთა დიდი კოლექტივის ძალებით აღწევენ.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე განიხილეს მეცნიერ მუშაკთა შრომის მატერიალური სტიმულირების საკითხები. აღინიშნა, კერძოდ, რომ მეცნიერთა შრომის ანაზღაურების არსებული სისტემა მოძველდა, მოითხოვს გადასინჯვასა და შემდგომ სრულყოფას. უნდა გამოვძებნოთ ოპტიმალური გზები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერთა კადრების აქტიურ მიზიდვას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი აქტუალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ითქვა ისიც, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს ზრუნვა მეცნიერ მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, შეიქმნას ისეთი ვითარება, რომლის დროსაც, უწინარეს ყოვლისა, ჯეროვანი პატივი მიეგება ადამიანის ნიჭს, მის ღვაწლს, წესიერებას, პატიოსნებასა და თავმდაბლობას.

მეცნიერებისადმი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება მოგვცემს იმის სიმედო გარანტიას, რომ გაძლიერდეს ახალგაზრდობის სწრაფვა მეცნიერებისადმი, მოხდეს მეცნიერთა კადრების გაახალგაზრდავება, რასაც ჩვენი რესპუბლიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ხომ მეცნიერებათა დოქტორების საშუალო ასაკი 55 წელს აღემატება, მეცნიერებათა კანდიდატებისა — 45 წელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპეტენტურ მეცნიერულ ხელმძღვანელობას, დამრიგებლობის პრაქტიკის ფართო გამოყენებას, ახალგაზრდობისათვის ღვაწლმოსილ მეცნიერთა შეფობას, მის აღზრდას მეცნიერული ზნეობის, ეთიკის, მოსაგრეობის სულისკვეთებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა გაძლიეროს ყურადღება იმისადმი, რომ განვითარდეს უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერება, კიდევ უფრო გაზრდილ მისი კავშირი წარმოებასთან. ამავე დროს საერთო კრებაზე აღინიშნა, რომ ზოგჯერ ამ კავშირს გარკვეულ წინააღმდეგობას უწევენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებსაც არ სურთ გზა მისცენ სიახლეთა დანერგვას, საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი ასეთი დამოკიდებულების აღმოფხვრა თითოეული პარტიული და საბჭოთა მუშაკის ვალია.

კრებაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ იქ, სადაც მეტ დაინტერესებას იჩენენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისადმი, შედეგებიც კარგი აქვთ. კერძოდ, დასასახელეს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის (დირექტორი — ო. ფაცაცია) მაგალითი, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ კოლექტივს საშუალება მისცა განეხორციელებინა მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებანი.

ბევრი რამ უნდა გააკეთონ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა სკოლებში საშეფო მუშაობის გაფართოებისათვის. აღინიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თითოეულ ინსტიტუტს შეფობა ეკისრა სკოლისადმი და ამედაგოგთა კოლექტივთან ერთად მოეწყო იქ საგნების სანიმუშო სწავლება, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს საყურადღებო გამოცდილების გავრცელება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. და ეს იქნება იმის დადასტურება, რომ მეცნიერები ნამდვილად მამობრივად ეკიდებიან მოზარდ თაობას.

დიდ დახმარებას საჭიროებენ საზოგადოებათმცოდნეობის პროფილის ინსტიტუტები, რომლებმაც ბევრი რამ უნდა გააკეთონ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში.

კრების მონაწილეებმა დასახეს მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომლის მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ახალგაზრდა მკვლევართა აკადემიური რაზმის განმტკიცება, მეცნიერული იდეებისა და ნამუშევრების არსენალის შევსება, მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის შემდგომი განმტკიცება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა საერთო კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ყველაფერს იღონებენ, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი პარტიის კურსის წარმატებით განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარებას, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ვ. არხამასცევი.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

ბატონ მ. ს. გორბაჩოვს

პატივცემულო გენერალურო მდივანო!

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 13 მარტის წერილისათვის. უაღრესად მადლიერი ვართ თქვენი პასუხისათვის ჩვენს 28 თებერვლის წერილზე, რომელშიც მოვუწოდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს სანქცია არ მისცენ არავითარ ბირთვულ აფეთქებას თქვენი და პრეზიდენტ რეიგანის უმაღლესი დონის მომდევნო შეხვედრამდე.

მივესალმებთ თქვენს ნტკიცე განცხადებას ბირთვული იარაღის სრული და შეუქცევადი ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. ჩვენ გვახსოვს თქვენ მიერ მანამდე პრეზიდენტ რეიგანთან ერთად გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ბირთვულ ომში არ შეიძლება იყოს გამარჯვებული და რომ იგი არ უნდა გაჩაღდეს. მოგიწოდებთ ამ განცხადებზე მეტი გააკეთოთ და შეეწინათ იმის გარანტია, რომ ბირთვული ომი არ იქნება. სანამ არსებობს ბირთვული იარაღი, არ შეიძლება მთლიანად გამორიცხოს მისი შემოხვევითი და ან განზრახ გამოყენების საფრთხე. ერთადერთი გრძელვადიანი გადაწყვეტილებაა მასობრივი მოსპობის ამ საშინელი იარაღის სრული მოსპობა. ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა გახდეს ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

მოხარული ვართ, რომ იზიარებთ ჩვენს თვალსაზრისს, რომ ბირთვული გამოცდის შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია გამაღლებული ბირთვული შეიარაღების შეჩერების გზაზე. მივესალმებთ თქვენს განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი აგრძელებს გაჩოცდების ცალმხრივ მორატორიუმს 31 მარტის შემდეგ — პირველ ბირთვულ აფეთქებამდე შეერთებულ შტატებში. ჩვენ აგრეთვე აღვნიშნავთ თქვენს მზადყოფნას ისარგებლოთ ჩვენი წინადადებით ბირთვული გამოცდების ყოველგვარი შეჩერების შემოწმებაში დახმარების გაწევის შესახებ.

დარწმუნებული ვართ, რომ ბირთვული გამოცდების აკრძალვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი მიზეზების გამო.

ჯერ ერთი, ბირთვული იარაღის თვისებრივი სრულყოფა ალიერების გამალებულ შეიარაღებას. ბირთვული არსენალების შემდგომი მოდერნიზაცია მხოლოდ გაზრდის საშიშროების წყაროს, რომელიც საფრთხეს უქმნის აგრეთვე ჩვენს ხალხებს და კაცობრიობის ნომავალს.

მეორე, როგორც თქვენს ქვეყანას, ისე შეერთებულ შტატებსაც აქვს საკმარისი რაოდენობის ბირთვული იარაღი იმისათვის, რომ მოსპონ არა მარტო ერთმანეთი, არამედ რამდენჯერმე მთელი მსოფლიოც.

ნესამე, თუ ისინი, ვისაც უკვე აქვს ბირთვული იარაღი, განაგრძობს ძის სრულყოფას, ეს ზიანს მიაყენებს მეცადინეობას სხვა ქვეყნებში ბირთვული იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილებისათვის. ვფიქრობთ, იზიარებთ ჩვენს წუხილს, ასეთი გავრცელების შედეგების გამო.

მეოთხე, დარწმუნებული ვართ, რომ შესაძლებელია განხორციელდეს ბირთვული გამოცდების ყოველგვარი შეჩერების დაცვის ადეკვატური შემოწმება, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა თქვენმა ქვეყანამაც და შეერთებულმა შტატებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან დართონ ადგილებზე ინსპექციის ნება. თუ ორივე მხარე გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას და საკმარის ურთიერთნდობას, შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს ნიღწეული ერთობლივი გადაწყვეტილება გამოცდების შეწყვეტის შესახებ.

მეხუთე, მოსფლიოში არის მრავალი სხვა საჭიროება, რომლებიც უშუალო ყურადღებას მოითხოვს, თანაც სახსრები, რომლებიც ახლა ბირთვული შეიარაღების შემუშავებას ხმარდება, შეიძლება უკეთ იქნეს გამოყენებული. ბრძოლა შიმშილისა და სიღატაკის, უწიგნურობისა და დაავადებების წინააღმდეგ ყველა ჩვენგანისათვის უფრო გადაუდებელი ნიზანი უნდა იყოს, ვიდრე იმ საშუალებათა შემდგომი სრულყოფა, რომლებმაც შეიძლება კაცობრიობის სრული მოსპობა გამოიწვიონ.

მალე სრულდება ორი წელი მას შემდეგ, რაც ჩვენმა ჯგუფმა, პირველად ნოუწოდა საბელმწიფოებს შეეწყვიტათ ბირთვული იარაღის ყველა გამოცდა. ეს მოსაზრება დადასტურებულ იქნა ფართოდ. ... ბირთვული ... ელდელ ... ...

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

● ადიგენ-ახალციხის გზიდან შვიდოდე კილომეტრის დაშორებით ხელისგულივით არის გადაშლილი სოფელ ბოლაჯურის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მიწის სავარგულები, რომლებსაც მხვნელ-მთესველები შესვენან და აქედანვე უყრიან საფუძველს სამეურნეო წლის უხვ მოსავალს. ახალგაბრდა ზუარაბ ქიმაძის საკოლმეურნეო ბრიგადამ თითოეულ ჰექტარზე გეგმით უნდა მოიყვანოს 125 ცენტნერი კარტოფილი, მაგრამ მისი წევრები დაინტერესებული არიან

ადგილობრივი პრესის ფურცლებზე

ეს ციფრი სულ ცოტა 140 ცენტნერამდე გაზარდონ. („ბანასლეველი მესხეთი“. ადიგენი).

● მეთორმეტე ხუთწლედი კარგად დაიწყეს ოშორელებმა. პირველ კვარტალში მათ ერთ ფურზე 328 კილოგრამი რძე მიიღეს, რაც გასული წლის ამავე პერიოდის დონეს 37 კილოგრამით აღემატება. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა და პირველ ადგილზე გავიდა მწველავი ნურიფე შავაძე, რომელმაც მიჩენილ 13 ფურზე 11 ხბო და 4979 კილოგრამი რძე მიიღო. თითქმის ამდენივე მიიღეს, ნაბატი მთლიანად შეინარჩუნეს და შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ მწველავები ნონა პაპაძე და ზოია ბუცხრიკაძე („ახალინდა“).

● თანდათანობით ძალას იკრებს და მტკიცედ დგება ფეხზე რაიონში მრეწველობის ახალი დარგი — ადგილობრივი სახეობის მოსაპირკეთებელი ქვის წარმოება. „ყაზბეგის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ქვის დამუშავებელმა საამქრომ დაარსების დღიდან ბევრი სიკეთე მოუტანა რაიონის ეკონომიკას. შორს არ არის ის დღე, როცა იგი ფართოდ გაშლის მხრებს და რაიონის ძირითად დარგთან — მეცხვარეობასთან ერთად ხვეის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი გახდება... ფანშეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესშია და მომდინარე წელს უახლესი მანქანა-დანადგარებით დამოტაჟდება ქვის დამმუშავებელი ტიპური ქარხანა. („დარიალი“, ყაზბეგი.).

● ფალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ვ. ჯავახიშვილი 15 წელია „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორს მართავს და დღენიადაგ დარსა და ავდარში მინდორში ტრიალებს — ხნავს, თესავს, იბრძვის უხვი მოსავლისათვის; თუ ტრაქტორს რაიმე მოეშალა, თვითონვე ადგილზე, მინდორშივე არემონტებს. 15 წლის ნაჯაფარი ტრაქტორი ახლაც სრულ წესრიგშია აქვს. შრომის ვახტზეა მექანიზატორი. („ალაზნის განთიადი“, თელავი).

● ჭინა წლების გამოცდილება და ის შესაძლებლობანი, რომლებიც ამჟამად გაგვაჩნია ავტოტრანსპორტელებს, გარანტიას გვაძლევს 1987 წლის 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ ხუთწლედის ორი წლის დავალებები ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. კერძოდ, გადავზიდავთ ორი წლის გეგმით გათვალისწინებულ 2 მილიონ 460 ათას ტონა სახალხოსამეურნეო ტვირთს, გადავიყვანთ 3 მილიონ 700 ათას მგზავრს... დავზოგავთ 60 ათას ლიტრ საწვავს, 20 ათასი მანეთის საბურავებს და მარაგნაწილებს, 20 ათას კილოვატსათ ელექტროენერგიას. („ივრის განთიადი“, სიგღარეჯო).

„პარტიული სიტყვა“ № 8

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ანშლაგით „ჩანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად ვაქციოთ!“ გამოქვეყნებულია სკკპ XXVII ყრილობის. დელეგატთა წერილები: დ. დათოშვილის — მომეჯირნეობა საუკეთესო პოლიტიკაა; ბ. გონაშვილის — რადიკალური რეფორმის გზით.

განყოფილებაში „უკვდავი მაგალითი“ თქვენ გაეცნობით ვ. ი. ლენინის დაბადების 116-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კლ. ელენბერგშვილის სტატიას — ზღვა კოვზით დალეგეო...

ანშლაგით „გაერთიანებულოთ“ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. [illegible] „ენერგეტიკული ბერა — ლენინური ბერა“ — გასაკეთებელი ბევრია, [illegible] დაბეჭდილია ჟურნალის სარეიდო ბრიგადის წერილი — დაჩქარება აქაც გვჭირდება.

რუბრიკით „ისტორიის ფურცლები“ გამოქვეყნებულია მ. სიორიძის წერილი — ახალი ცხოვრების დასაწყისი.

ტიუმენი, ვოლოგდა, ბამი

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი სტატია დაბეჭდილა საბჭოთა კავშირის იმ ახალშენებლობებზე, რომლებიც თავიანთი მასშტაბურობითა და მნიშვნელობით, მშენებელთა ინტერნაციონალური შემადგენლობით დიდ ყურადღებას იმსახურებენ.

„კომუნისტს“ განზრახული აქვს რუბრიკით: „ტიუმენი, ვოლოგდა, ბამი“, წელიწადში ორ-სამჯერ კვლავაც გამოაქვეყნოს მასალები ამ თემაზე.

იკაბიიდან წერილი მოვიდა

ეს **უბრალო** მოკითხვის ბარათი როდია! შორეული იკაბიიდან თანამემამულეთა მადლიერებით აღსავსე წერილი მიიღეს გორგასალის ქ. № 1-ში. „საქმამშენის“ ხელმძღვანელობის და მთელი კოლექტივის სახელით გიხდით უდიდეს მადლობას დიდი გულისხმიერებისათვის“, — წერს ახალგაზრდა ქართველი ქალი მარინე წურიაშვილი, ამჟამად იკაბიის მცხოვრები და იქაური კლუბის გამგე.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... ავ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა ჩიტის ოლქის დაბა იკაბიაში ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. მათი საუბარი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კლუბის მუშაობასაც შეეხო. აღინიშნა დაბრკოლებანი მოსახლეობის კულტურულ მომსახურეობაში. ამავე პერიოდში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გაჩნდა მოწოდება — „მივხედოთ იკაბიას!“, რომლის მიმართაც ქართველი კაცი გულგრილი ვერ დარჩებოდა. ჩვენს რესპუბლიკას ამ საქმეში საუკეთესო გამოცდილება აქვს: ხიბ-გრუზინსკაიაც ხომ ქართველების მუდმივი ყურადღების საგანი იყო — არაფერს ვიშურებდით ამ ქართული დასახლებისათვის. იკაბიაც მისი ღვაძლი ძმაა და ისიც ზრუნვას და თანადგომას საჭიროებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანთლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდიური ცენტრის (დირექტორი — ც. ქორჩრიაშვილი) თანამშრომლები გულისყურით მოეკიდნენ იკაბიელთა სულიერი ცხოვრების გამდიდრების საქმეს. გაიგზავნა პირველი ამანათი — ახალი წიგნები და დამხმარე მეთოდიკური ლიტერატურა, მალე კვლავ გაჩნდა ბაიდეროლზე „მორეული იკაბიის უკვე ახლობელი მისამართი: „ჩიტის ოლქი, დაბა იკაბია, ქუჩა გრუზინსკაია“. ამჯერად თბილისიდან ბაიდეროლით გაიგზავნა ანსამბლების „რუსთავის“, „გორდელას“, „ელესას“ შესრულებით მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიმღერები. აგრეთვე საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერების სამი კრებული — 114 სიმღერა.

ვისაც სამშობლოდან მოშორებით უცხოვრია, მან კარგად უწყის, როგორ ამოკლებს მანძილს მშობლიური სიმღერა და რა შთამაგონებელი ძალა აქვს მას.

„მივიღეთ თქვენგან გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქარი — ხალხური სიმღერების სანოტო მასალა და ფირზე ჩანაწერი, რითაც გაგვიწეთ უდიდესი დახმარება დაბა იკაბიის ქართველ მცხოვრებლებს. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა ბავშვებმაც შეიყვარონ და შეისისხლხორცონ ხალხური ტკბილი მელოდია და დაჩვეწილი ქართული ცეკვა“. ბარათთან ერთად იყო ილუსტრირებული გამოცემების „ნა ვსტრ ეჩუ ვრემენის“ და „ზოლოტოე ზვენოს“ რამდენიმე ეგზემპლარი გულთბილი და დამფიქრებელი წარწერით: „გიგზავნით მცირე საჩუქარს, რომელიც ცოტათი მაინც გაგაცნობთ ჩვენს ცხოვრებას“.

დიდად გაგვახარა ამ ბარათმა, მაგრამ მივხვდით, რომ უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო, მეტი გულისხმიერება, ზრუნვა და ფიქრი იმაზე, თუ როგორ გავუადვილოთ შრომა, გავულამაზოთ ყოველი დღე თანამემამულეებს.

სულ მალე დაბა იკაბიის კლუბი კვლავ მიიღებს ამანათს მეთოდცენტრის ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების განყოფილებებისა და ხალხური საკრავთა ლაბორატორიის მუშაკებისაგან. ეს იქნება ეროვნული ტანსაცმელი, ქართული ხალხური საკრავები, ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

კვლავაც ბევრი რამ გაკეთდება ჩვენი მხრივ იკაბიის კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად.

Ც. აბვლედიანი,
სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის ხარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგე.

კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში ერთ თვეს მიმდინარეობდა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პასუხისმგებელ მუშაკთა სწავლება.

მეცადინეობის პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა პარტიის საქალაქო, რაიონული, საოლქო კომიტეტების ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო საქმიანობის სრულყოფას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, სახალო მეურნეობის სპეციალისტებმა, თვალსაჩინო მეცნიერებმა მსმენელებისათვის წაკითხულ ლექციათ-მოხსენებებში გააშუქეს სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალური საკითხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრავალმხრივი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, თაოსნობის შემდგომი გაძლიერების საფუძველზე სახალხო მეურნეობის დარგების ინტენსიფიკაციის, ცხოვრების ყველა სფეროსადმი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის, კადრების სწორი შერჩევის, აღზრდისა და განაწილების, დემოკრატიზმის გაღრმავების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხები.

ლექცია-მოხსენებებთან ერთად მოეწყო სემინარული მეცადინეობა, სადაც გააშუქეს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების საქმიანობა სკკპ რიგების ზრდის რეგულირებისა და პარტორგანიზაციათა თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, იმსჯელეს შინაპარტიული ინფორმაციისა და პარტიულ ცხოვრებაში დემოკრატიული საწყისების განვითარების, პარტიულ დოკუმენტებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე სკკპ XXVII. ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მსმენელები გაეცნენ სწავლების აქტიური მეთოდებს — „ბანმიან თამაშებს“ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენებით. მონაწილეობდნენ გამსჯელულ და პრაქტიკულ მეცადინეობაში.

გაიმართა შინაარსიანი საუბრები „მრგვალ მაგიდასთან“, სადაც მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის ცხოვრებასთან იდეოლოგიური მუშაობის კავშირის განმტკიცება, პარტიული ორგანების სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა, „კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესება და კაპიტალური დაბანდების, ეფექტიანობის გაზრდა, დაგეგმვისა და მართვაში ტერიტორიული მიდგომის შემდგომი სრულყოფა, პარტიული კომიტეტების საქმიანობის განზორციელება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობის გაუმჯობესების, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებაში.

მსმენელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მუშაობაში, რომელმაც განიხილა 1986 წლის პირველი კვარტალის საქმიანობის შედეგები, რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირში, იყვნენ გამსვლელ მეცადინეობაზე პარტიის თბილისის კიროვის რაიკომსა და საწარმოო გაერთიანება „ცხომკომბინატში“.

განხილვის დროს მსმენელებს შეხვდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზოვა, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჯითანავა, ვ. ი. ალავიძე, ნ. რ. სიჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული ორგანოების შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მეცნიერები.

მეცადინეობაზე მსმენელთა ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ეკონომიკის განვითარების ინტენსიურ მეთოდებზე გადასასვლელად, დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია, ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძალისხმევის კონცენტრაციას აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის გადიდების, მისი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ზრდისათვის.

სწავლების დასასრულს გაიმართა სემინარი მსმენელთა მიერ წარმოდგენილი რეფერატების საფუძველზე მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის.

(საქინფორმი).

მივაღწიოთ ახალ მიჯნებს

საბჭოთა ადამიანების, მთელი ჩვენი რესპუბლიკის საქმეებსა და გეგმებში დაიწყო დროის ახალი ათვლა. ისინი ამ საქმეებსა და გეგმებს უკავშირებენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც დასახეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნა. პარტია და სახელმწიფო ზრუნავენ იმისათვის, რომ უფრო საინტერესო და აღმშენებლობითი გახადონ ადამიანის შრომა. დღევანდელი მუშაობის მასშტაბი მოითხოვს მთელი შემოქმედებითი ძალების დაჯაბვას, საქმის ახლებურად გაძღოლის უნარს, და არა მარტო ეკონომიკურ სფეროში, არამედ აგრეთვე სოციალურ, კულტურულ სფეროშიც.

ამის შესახებ გაიმართა სკკ-ბაასი საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის თბილისში გამართულ კრებაზე. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მათ განიხილეს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. შ. ენდელაძის მოხსენებაში, გამოსვლებში აღინიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მოსახლეობის ფართო წრის ჩაბმის დადებითი გამოცდილება. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სპორტის მატერიალური ბაზა, ფართოდ განვითარდა მასობრივი შეჯიბრებები, შშო, მოცურავის, მორბენალის კვირეულები და სხვა მასობრივი სტარტები. რესპუბლიკის სპორტსმენების მიერ 1984 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე და გასული წლის პირველ საკავშირო ჭაბუკთა ასპარეზობაში მიღწეული შედეგები შეთხზეკითი როდია. ეს უკვე ტენდენციაა, რესპუბლიკაში გაწილი მასშტაბური მუშაობის კანონზომიერი შედეგია.

ამავე დროს, აღინიშნა კრებაზე, ფიზკულტურის ცალკეულმა კომიტეტებმა, ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა სათანადოდ ვერ გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისათვის, ჯერჯნად ვერ აფასებენ მათს დიდ მნიშვნელობას მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდთა დასვენების ორგანიზაციაში. მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ ფიზკულტურასა და სპორტს ეკიდება როგორც პირად საქმეს. როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რესპუბლიკაში მოსახლეობის 65 პროცენტზე მეტი არ მისდევს ფიზკულტურას, უგულებელყოფს აქტიურ დასვენებას. არ შეიძლება ეს შეშფოთებას არ იწვევდეს.

სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა VI ზამთრის სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების გამოსვლების შედეგების გამო.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცუხრონეთან ურთიერთობის განყოფილების გამგე რ. ა. გოგლიძე.

(საქინფორმი).

მოკლედ

● ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელებულია საბჭოთა მთავრობის 1986 წლის 23 აპრილის განცხადება.**

● ვარშავა. **საბჭოთა დროშა აღმართეს შჩეცინის ვარსკვლის სახელობის გემთსაშენში აგებულ ახალ ბუქსირ „ტიგრზე“. ეს ხომალდი უკანასკნელისწინაა საზღვაო საბურღი პლატფორმების მომსახურებისათვის განკუთვნილი იმ 24 ასეთი ტიპის ბუქსირის ხერიდან, რომლებსაც ამზადებენ გემთმშენებლები სსრ კავშირისათვის.**

● ჩილე

მკაცრი რეპრესიები

გუშინწს-აირესი. მკაცრი რეპრესიები დაატეხეს თავს ჩილეში 1 მაისს გამართული მასობრივი ანტიდიქტატორული გამოსვლების მონაწილეებს პინოჩეტის რეჟიმის არმიამ და პოლიციამ.

გუშინ განთიადისას დამსჯელებმა ოაოწყვეს სანტიაგოდან 30 კილომეტრზე მდებარე დასახლებული პუნტის „კოლინას“ „ჩხრეკის“ ოპერაცია. დაატანჯრეს 2 ათასი კაცი, რომლებიც მიიყვანეს ადგილობრივ სტადიონზე, სადაც მიმდინარეობს დაკითხვები. არმია და პოლიცია კიდევ უფრო სასტიკად მოქმედებენ, ვიდრე 1 მაისის წინ დედაქალაქის პროლეტარულ რაიონებში მოწყობილ ჩხრეკა-დაპატიმრების დროს, როცა სცემეს და დაუპატიმრეს ასობით კაცი.

ჩილეს სანარმალდაცვითი ორგანიზაციების ცნობით, სანტიაგოში საპირველმაისო მანიფესტაციების დროს საპყრობილეებში ჩაგდეს ათასზე მეტი კაცი. მათ ხანგრძლივი ვადის პატიმრობა ემუქრებათ.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე

ვინ უშლის ხელს ფორუმის მუშაობას

სტოკჰოლმი. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ახალი ინიციატივა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საგრძნობი შემცირების შესახებ კვლავ ფართო უყურადღებას იქცევს.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ჰიუნტერ ბიურნგმა ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს წინადადება ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ფართო პერსპექტივებს სახავს.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლის გამოსვლაში მკაფიოდ იყო ნაჩვენები, რომ შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელები სხვადასხვა საბაბით თავს არიდებენ ძალის გამოუყენებლობის პრინციპის კონკრეტიზაციისა და მისთვის ქმედითობის მინიჭების თაობაზე შეთანხმების შემუშავებას. ასეთი არაკონსტრუქციული პოზიცია ამ საკვანძო საკითხში ხელს უშლის სტოკჰოლმის ფორუმის მუშაობას.

● პარაგვაი

რეჟიმის კრიზისი

ბუენოს-აირესი. **გენერალ სტრესნერის დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელიც პარაგვაის ხელისუფლების სათავეში დგას 1954 წლიდან, ახლა ღრმა კრიზისს განიცდის.** ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამხოს ძირმომპალი დიქტატურა, მიაღწიოს იმას, რომ ქვეყანა მმართველობის დემოკრატიულ ფორნებს დაუბრუნდეს, განაცხადა პარაგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრმა უგო კამპოსმა.

პარაგვაის ოფიციალური პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ ხალხის ბრძოლას ჯერ არასოდეს ჰქონია ესოდენ დიდი მასშტაბი, თუმცა რეჟიმმა პატრიოტებს თავს დაატეხა მკაცრი რეპრესიები.

ვაშინგტონი, თქვა შემდეგ უკამპოსმა, მხარს უჭერს სტრესნერს, მაგრამ ანავე დროს იგი ეძებს კანდიდატურას დიქტატორის შესაცვლელად. თეთრ სახლს სურს გაიმეოროს „ჰაიტის ვარიანტი“: პოლიტიკურ ასპარეზს მოაშოროს ოდიოზური ფიგურა, მაგრამ შეინარჩუნოს პარაგვაიში მორჩილი რეჟიმი. ქვეყნის ყველა პატრიოტის ამოცანაა ჩაშალონ იმპერიალიზმისა და ადგილობრივი რეაქციის გეგმები. პარაგვაიში დემოკრატიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად მთელი პროგრესული, ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური ძალები უნდა შეკავშირდნენ, ხაზგასმით აღნიშნა პარაგვაის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა.

ფოტოფაქტი

აშშ

აბროვებენ ხელმოწერებს

ამერიკის მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა გაერთიანებანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აწყობს პრეზიდენტ რეიგანისადმი იმ მოწოდებაზე ხელმოწერების შეგროვების საერთო-ეროვნულ კამპანიას, რომელიც შეიცავს მოთხოვნას შეწყვიტონ ყოველნაირი ბირთვული გამოცდები. მასში ნათქვამია, რომ ბირთვული აფეთქებების დაუყოვნებლივი შეწყვეტა გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვისა და ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცების ერთადერთი გზაა;

სურათზე: ხელმოწერების შეგროვება ნიუ-იორკის ქუჩებში.

საქდესის ფოტო.



● ნორვეგია

იქმნება ახალი მთავრობა

ოსლო. **ნორვეგიის მუშათა პარტიის ლიდერმა გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდმა მიიღო მეფე ულაფის წინადადება შექმნას ახალი მთავრობა მას შემდეგ, რაც სამპარტიანი კაბინეტი, რომელსაც კორე ვილოკი მეთაურობდა, გადადგა.**

მემარჯვენეცენტრისტული მთავრობის გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე განაპირობა იმან, რომ გასულ კვირას ნორვეგიის სტორტინგმა (პარლამენტმა) არ მოიწონა მინისტრთა კაბინეტის მიერ წამოყენებული „მკაცრი ეკონომიის“ ღონისძიებათა პროგრამა.

საზოგადოება და ჟურნალისტის მოვალეობა

წინააღვუდგეთ ინფორმაციულ იმპერიალიზმს

აპრილის მიწურულს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ადამიანის უფლებათა საკითხები“, რომელშიც მონაწილეობდნენ 23 ქვეყნის წამყვანი ჟურნალისტები და შემოქმედებითი კავშირების, აგრეთვე ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ჟურნალისტი და საზოგადოება, შემოქმედების თავისუფლება და შემოქმედი ადამიანის მოვალეობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკთა უფლებები და მოვალეობანი — ეს და სხვა მრავალი საკითხი ყურადღებით გააანალიზეს კონფერენციის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში.

პალესტინელ ტერორისტთა ჯგუფი აპირებს მაყურებლებით სავსე სტადიონის აფეთქებას, სადაც მიმდინარეობს ფინალური მატჩი ფეხბურთში ამერიკის სუპერთასზე. მანამდე კი მათ ათობით სამოქალაქო თვითმფრინავში ჩადეს ბომბები, ცეცხლი წუკიდეს საცხოვრებელ სახლებს, სადაც უმეწო მოხუცები და ბავშვები იყვნენ, ხოლო ერთი ვერაგი არაბი, როგორც ყველაფრით ჩანს, ლიბიელი, მაშველ ჟილეტს ჰპარავს ამერიკელ ბავშვს, რომელიც შეიძლება ვეღარ გადარჩეს ჩაძირული ხომალდიდან. მაგრამ, ვაშაა! საქმეში ერევა ჩვეულებრივი ამერიკელი სუპერმენი. ყველა გადარჩება, ბოროტმქმედნი დასჯილი არიან, სამართლიანობამ გაიმარჯვა.

სწორედ ასეთ პრიმიტიულ სიუჟეტებზე აგებენ ხშირად თავიანთ სათავგადასავლო ფილმებს დასავლეთის, უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ტელეკომპანიები. მიზანი ცხადია — შექმნან საზოგადოებრივი აზრი, რომ ტერორისტებთან ბრძოლა მხოლოდ ძალით შეიძლება. ხოლო რაცა ადამიანებს წარამარა შთააგონებენ, რომ „პალესტინელი არაბის“ ან „ლიბიელი არაბის“ სინონიმებია „ეშრდი“ და „ბანდიტი“, იოლია ისეთი მუნანათური აქციის გამართლებაც, როგორიც არის ლიბიის მშვიდობიანი ქალაქების ბომბბვა. პროპაგანდამ თავისი საქმე გააკეთა, თესლი განოყიერებულ ნიადაგში მოხვდა.

ეს აზრი გამოთქვა კონფერენციაზე ცნობილმა პალესტინელმა პუბლიცისტმა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა სსრ კავშირში რამი მუჰამედ აშ-შაერმა.

— დასავლეთის პროპაგანდა,— თქვა მან, — ბევრს წერს სსრ კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ, ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს იქ საერთოდ არ არსებობდეს დემოკრატია. მაგრამ ბურჟუაზიული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კრინტს არ ძრავენ, როცა საქმე ეხება ამ უფლებათა ნამდვილ დარღვევას, თუ ამის თაობაზე ინფორმაცია ხელს არ აძლევს დასავლეთის ქვეყნების მმართველ წრეებს. პროპაგანდისტულ ხმაურს ტეხენ იმაზე, რომ სსრ კავშირში ვიღაც „სხვარიგ მოაზროვნეს“ ასამართლებენ, რომელიც სინანდვილეში ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულია, ამავე დროს გაზეთებში სიტყვაც არ არის დაძრული ხუთი მილიონი პალესტინელის უფლებათა დარღვევებზე. პირველი თემა ხელს აძლევს ბურჟუაზიულ პროპაგანდას, მეორე — არა. აი კიდევ ერთი მაგალითი. ცნობილია, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია რთულ პერიოდს განიცდის. და უკვე შეიმჩნევა, რომ ჩვენი სიძნელეების შესახებ სტატიების რიცხვი დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სწორედ მატულობს სწორედ მაშინ, როცა ისრაელი მორიგ დანაშაულს სჩადის პალესტინელთა წინააღმდეგ. კრინტს არ ძრავენ პალესტინელთა მიმართ ტერორიზმის თაობაზე, სამაგიეროდ სტატიების მთელი ნაკადი იბეჭდება პალესტინელ განთავისუფლების ორგანიზაციის სიძნელეების შესახებ. დასავლელ მკითხველს შეიძლება შეეძნას შთაბეჭდილება, თითქოს მათი პრესა ობიექტური იყოს — ხომ ხედავთ, პალესტინის თემას ყურადღებას უთმობენ. დეზინფორმაცია ყველგან, ნებისმიერი ხალხის, ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელთა პოლიტიკა ვერ თავსდება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა ჩარჩოებში. ჩემმა ამხანაგმა, ავღანეთის მოსკოველმა ელჩმა, დოქტორმა ჰაბიბ მანგალმა ერთხელ აღნიშნა: „თუ დასავლეთის ბურჟუაზიულ პრესას დავუჯერებთ, ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ორჯერ მოკლეს მთელი მშვიდობიანი მოსახლეობა და ხუთჯერ მოსპეს მთელი შეიარაღებული ძალები“. ასეთია ინფორმაციული იმპერიალიზმი. მის პოლიტიკას უნდა წინააღუდგნენ დემოკრატიული ჟურნალისტები.

კონფერენციაზე გამოსულთა სიტყვებში მკაფიოდ გამოკვეთა ერთი მთავარი აზრი, რომ არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და დამოუკიდებელი იყო მისგან. ასეთი „თავისუფლება“ ჟურნალისტისათვის არ არსებობს. იგი ან მხარს უჭერს პროგრესულ, დემოკრატიულ ძალებს, ან აუცილებლად რეაქციის ბანაკს ეკედლება. და, რაღა თქმა უნდა, ჟურნალისტის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ადამიანი, უფლებათა პრობლემები მათი ყველაზე ფართო გაგებით.

მთავარი ასეთი უფლებაა ადამიანის სიცოცხლის უფლება. ახლანდელ პირობებში ეს ნიშნავს ყველა საშუალებით ვიბრძოლეთ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის, განიარაღებისათვის. ბირთვული ომი გარდაუვალად მოასწავებს ცივილიზაციის დასასრულს. მაგრამ რა „შემოქმედებითს თავისუფლებაზე“ შეუძლიათ ილაპარაკონ ჟურნალისტებმა, რომლებიც ვეგადაში ბირთვული გამოცდების განგრძობას მიესალმებიან? ხომ ცხადია, რომ ისინი მიზნად ისახავენ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებისათვის ძირის გამოთხრას, გამალებული შეიარაღების დაჩქარებას. ამ კონტექსტით ბურჟუაზიულ პრესაში ადამიანის უფლებებზე მსჯელობა სულაც არ ესადაგება მის მიერ პრეზიდენტ რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისათვის“ მხარდაჭერას, რომლის მიზანია კოსმოსში ბირთვული იარაღის გატანა, ესე იგი გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპისათვის მხარდაჭერას. ამ საკითხებზე, კერძოდ, კონფერ

„პაქტას“ მომკვიდრენი

უცხოური პრესის კურიოზები

ევროპის მრავალი ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს გაზეთის დაარსების ინიციატივას. განსაკუთრებით კი ინგლისი და გერმანია აქტიურობდნენ, მაგრამ გაზეთი და თვით ეს ტერმინი იტალიასთან, კერძოდ, ვენეციასთან არის დაკავშირებული: მე-16 საუკუნეში ხომ წვრილ ვერცხლის ვენეციურ მონეტას „გაზეტა“ ერქვა და ახალი ამბების მაუწყებელი ხელნაწერი ფურცლის საფასურიც სწორედ ერთი მონეტა გახლდათ. სახელწოდება „გაზეტა“ (ანუ გაზეთი) აქედან მომდინარეობს.

უძველესი გერმანული გაზეთი 1612 წლით, ინგლისური 1622-ით, ხოლო ფრანგული 1631 წლით არის დათარიღებული.

დროთა განმავლობაში ევროპის ქვეყნები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს გაზეთის უკეთ გამოცემასა და მრავალტირაჟიანობაში. ვიწმე ოსკარ ფერგენბერგმა თავი მოუყარა მთელი 40 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე არსებულ 500.000-მდე გაზეთს და ქალაქ ალბანში თავისებური მუზეუმიც კი დააარსა. აქ ინახება „მსოფლიო რეკორდსმენი“ გაზეთიც, რომლის სიგრძე 2 მეტრი და 60 სანტიმეტრი, ხოლო სიგანე — მეტრი და 82 სანტიმეტრია. იგი რამდენიმე ათასი ცალი ტირაჟით გავრცელდა ნიუ-იორკში 1859 წელს და 8 კვირის განმავლობაში 40 ამწყობს უმუშავია ამ გაზეთზე.

აქედან მოკიდებული ამერიკა იწყებს საგაზეთო სენსაციებს. აი ზოგიერთი მათგანი:

ხელისმომწერლებს რომ დროულად გადაეხადათ საფასური, ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთის გამომცემელმა ამგვარ ხერხსაც კი მიმართა: ბოლო გვერდზე რეგულარულად ათავსებდა სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული ადამიანის სურათს ურჩ გადამხდელთა გვარებით.

მეტად ორიგინალური გაზეთები გამოდიოდა ამერიკის ზოგიერთი სატესაღოდან. მაგალითად, ქ. სტილვეტერში გაზეთს პატიმრები უშვებდნენ. მისი წლიური საფასური 1 დოლარი გახლდათ და მრავალი ხელისმომწერიც ჰყავდა. რა სახის ინფორმაციას არ წაწყდებოდა კაცი ამ გაზეთში პატიმართა ავტობიოგრაფიებიდან მოყოლებული. ქ. ელმარის სატესაღოს გაზეთის რედაქტორი კი ოქსფორდის უნივერსიტეტდამთავრებული, ერთ დროს ფრიად პატივცემული პიროვნება ყოფილა, რომელიც, მძარცველი გამხდარა!..

ამერიკას არც ევროპა ჩამორჩენია ამგვარ კურიოზებში.

1888 წლიდან პარიზში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი ღარიბთათვის, რომელიც ხელისმომწერთ — მათხოვრებსა და მაწანწალებს ძალზე „საკმილო ცნობებს“ აწვდიდა — წინასწარ აუწყებდა, სად ლხინი იმართებოდა, სად პანაშვიდი, სად კიდევ მდიდართა დღეობა თუ ქორწილი...

„ივერიის“ რწმენებით, „სამაჯანკლო გაზეთებმა“ ისე მოიკიდეს ფეხი ევროპაში, რომ მალე აზიამაც ვერ გაუძლო ამ ცდუნებას. აი ტოკიოს ერთ-ერთ გაზეთში (1912 წელი) მოთავსებული ჩვეულებრივი განცხადებაც:

„ფრიად ლამაზი და ქორფა ქალწული გახლავართ. ჩემი თმები დიღის ნისლივით ფაფუკი და ლბილია, კანის სინაზე კი მაისის ვარდისას აღემატება. ტუუბ ნახეგარმთვარესავით მიბრწყინავს შავი თვალები. მთელი სახის სილამაზის ამოცნობა კი თქვენთვის მომინდვია. შეძლებითაც იმგვარ წრეს ვეკუთვნი, რომ ძალმიძს ჩემს მომავალ მეუღლესთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა ბედნიერად განვლო ცხოვრების გრძელი გზა“.

კაპიტალისტურ სამყაროში გაზეთი ითამაშოთვე გამდიდრების საშუალებად იქცა. მილიონები შემოჰქონდა რეკლამას. მაგალითად, წლის განმავლობაში ერთსვეტიანი განცხადების გამოქვეყნება გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნს“ 35.000 დოლარს აძლევდა. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდის“ შიდა გვერდის ერთსვეტიანი განცხადება — 49.000, პირველი გვერდისა კი 83.000 დოლარს აღემატებოდა. ყველაზე იაფფასიანი განცხადებები გაზეთ „ნიუ-იორკ ტრიბუნს“ წლიურად 28.000, ყველზე ძვირი კი 114.000 დოლარ მოგებას აძლევდა. 1981 წელს ფრანგული გაზეთის „ფიგაროს“ შემოსავალს 2.396.099 ფრანკამდე მიუღწევია და აქედან 1.637.434 ფრანკი მარტო განცხადებებსა და რეკლამებს შეუდგენია.

ს. ნუცუბიძე.

ცხოვრების მხარდამხარ

სურათზე: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საგაზეთო კორპუსის საამქროს მბეჭდავი ზ. დვალიშვილი გაზეთის მორიგი ნომრის ბეჭდვის დროს.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

თეატრის იუბილე

გაიმართა თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. გადაწყდა, რომ საიუბილეო საღამო გაიმართება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ამ ღონისძიებაზე თარიღისათვის ეკრანებზე გამოვა კინოფილმი, რომელიც გაგვაცნობს ესტეტიკის ულველეს დაწესებულებას. ამ შემოქმედებითი კოლექტივის სახელოვან გზას მიეძღვნება ილუსტრირებული ალბომიც.

მაისსა და სექტემბერში თელავში, გურჯაანში, ახმეტაში, ყვარელში, ლაგოდეხში, წითელწყაროში, სიღნაღში, საგარეჯოში გაიმართება თელავის თეატრის იუბილესადმი მიძღვნილი სახალხო თეატრებისა და დრამატული წრეების სპექტაკლების დათვალიერება. თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი ანგარიში იქნება მისი გასტროლები თბილისში.

იმ ცნობილი მსახიობების ხსოვნის აღსანიშნავად, რომელთა შემოქმედებითი ბედიც დაკავშირებული იყო თელავის თეატრთან, გაიმართება თ. ბურბუთაშვილის, ვ. ჩელთისპირელის, ა. კუპატაძის, პ. ახვლედიანისადმი მიძღვნილი საღამოები. მოწყობა აგრეთვე თეატრალიზებული საღამო, რომელზეც ნაგვები იქნება გასული წლების სპექტაკლების საუკეთესო სცენები.

იუბილეს ფარგლებში მიმდინარე წლის ნოემბერში თელავში გაიმართება კლასიკური დრამატურგიის ნიუშების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების IV ფესტივალი. [illegible] ყება ტრადიციული [illegible] „თეატრი და ბავშვები“, რომელსაც აწყობენ საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტროები.

გაიმართება იუბილარი თეატრის მუშაკთა შეხვედრები რაიონის მშრომელებთან. თეატრში მოეწყობა საიუბილეო გამოფენა.

(საქინფორმი).

ბაბაჩი

ფეხბურთის ამბები

მართლაც რომ, დიდებულად ითამაშეს კიევის დინამოელებმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ და ლონდონში დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებით (3:0) თერთმეტი წლის შემდეგ მეორედ დაეუფლნენ ევროპის ყვეყნების თასების მფლობელთა თასს. დინამოელებს ამჯერადაც ვ. ლობანოვსკი ხელმძღვანელობდა, ხოლო გუნდის რიგებში თერთმეტი წლის წინანდელი შემადგენლობიდან ყველა ახალგაზრდული შემართებით იასპარეზა ო. ბლოხინმა. მის გარდა, ამჯერად დინამოელთა ღირსებას იცავდნენ ვიქ. ჩანოვი, ვ. ბესონოვი, ს. ბალტაჩა (ა. ბალი), ო. კუზნეცოვი, ა. დემიანენკო, ვ. რაცი, ს. იაკოვენკო, ი. იარეგჩუკი, ა. ზავაროვი (ვ. ევტუშენკო), ი. ბელანოვი. „ატლეტიკოს“ კარში ბურთები გაიტანეს ზავაროვმა, ბლოხინმა და ევტუშენკომ. კიეველები მთელი ორივე ტაიმის განმავლობაში მოქმედებდნენ უაღრესად სწრაფად, თავდაუზოგავად, ლაღად და რაც მთავარია, ისეთი ტაქტიკური გეგმით, რომელმაც საბოლოოდ მათ ეს შთამბეჭდავი გამარჯვება მოაპოვებინა. ერთი სიტყვით, ყველანი დიდი ფეხბურთის ზეიმის ნოწყნენ გავხდით და, ცხადია, ამ წარმატებას კიეველებს ყველა გულითადად ეულოცავთ.

გაიმართა უეფას თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩიც. მადრიდში ადგილობრივმა „რეალმა“ დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა გფრ-ის „კელნი“. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა ნოეწყობა 6 მაისს.

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურმა სტადიონმა უმასპინძლა ფეხბურთში საკავშირო თასის 45-ე გათამაშების ფინალისტებს — მოსკოვის „ტორპედოს“ და დონეცკის „შახტიორს“. შეხვედრის ორმოცდამეოთხე წუთზე ტორპედოელმა კობზევმა თავური დარტყმით გაიტანა ბურთი. ეს იყო ამ მატჩის ერთადერთი გოლი, რომელმაც მოსკოვის „ტორპედოს“ წარმატება მოუტანა და ამჯერად იგი უკვე მეექვსედ დაეუფლა ბრონლის თასს.

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩებიდან მხოლოდ 5 კალენდარული შეხვედრა გაიმართა. საქართველოს გუნდებმა ამჯერადაც სტაბილურად იასპარეზეს და ორივე დამარცხდა: თბილისის „დინამო“ ვილნიუსის „ჟალგირისთან“ შეხვედრაში (0:1), ქუთაისის „ტორპედო“ კი ლენინგრადის „ზენიტთან“ (1:2). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ვილნიუსელებმა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის განმავლობაში პირველად შეძლეს თბილისელთა დამარცხება. რაც შეეხება ქუთაისელებს, მათს კარში ლენინგრადელებმა გამარჯვების მაუწყებელი გოლი მატჩის ბოლო წამებზე გაიტანეს. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: მინსკის „დინამო“-მოსკოვის „სპარტაკი“ —2:1, „მეტალისტი“-„არარატი“ — 1:0, „ყაირათი“-„დნეპრი“—2:2. დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ზენიტი“	5	2	1	16-7	12
„დინამო“ კ	3	4	0	12-6	10
„დნეპრი“	3	4	1	9-9	10
ჩერნომორეცი“	4	1	2	8-6	9
„დინამო“ თბ	3	3	2	8-8	9
„დინამო“ მნ	3	2	3	8-8	8
„ჟალგირისი“	3	2	3	5-7	8
„ყაირათი“	2	4	2	6-8	8
„მეტალისტი“	2	3	3	7-7	7
„სპარტაკი“	2	2	3	8-7	6
„შახტიორი“	2	2	3	7-7	6
„ნეფტჩი“	2	2	3	7-8	6
„ტორპედო“ ქთ	1	4	3	5-8	6
„ტორპედო“ მ	1	3	2	3-5	5
„დინამო“ მ	1	3	3	7-10	5
„არარატი“	1	3	4	3-8	5

ახლა, როცა თვეზე ნაკლები დარჩა მექსიკაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე, ნაკრები გუნდები ბოლო საკონტროლო შეხვედრებს მართავენ. გთავაზობთ რამდენიმე შედეგს: ბრაზილია-იუგოსლავია — 4:2, ნორვეგია-არგენტინა — 1:0, ბულგარეთი-კუდრ — 3:0. სსრ კავშირის ნაკრები ბოლო საკონტროლო შეხვედრას გამართავს მოსკოვში 7 მაისს. მისი მეტოქე იქნება ფინეთის ეროვნული გუნდი.

გაიმარჯვა ჯანმრთელობამ

გაიარა რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე, გმირთა მოედანზე და კარლ მარქსის მოედანზე, პუშკინის ქუჩაზე.

ამავე დროს აქტიური დასვენების ასობით მოყვარული მთის ფერდობებით გაეძართა კუს ტბიდან მთაწმინდაზე. ისინი მონაწილეობდნენ ტურისტულ ლაშქრობაში, რომელიც ყველა მსურველისათვის მოაწყო გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ. ქალაქის ყველა სპორტულ ბაზაში კი იმ დღეს თბილისელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიხაუქეში, სასწრაფესა და ძალაში...

— მთავარი, რითაც გამოირჩევა შაბათის ეს სტარტები, მასობრიობაა. აქ არ არის დამარცხებული, გამარჯვებულია ადამიანების ჯანმრთელობა, — განმარტა ფიზკულტურული დღესასწაულის შედეგები საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ბაგრატიონმა. — ჩვენ არ ვესწრაფოდით რეკორდებს. ვცდილობდით მაქსიმალურად დაგვეტვირთა ყველა სპორტული ბაზა, სპორტული მოედანი და საშუალება მიგვეცა რაც შეიძლება მეტი თბილისელისათვის, ასაკის მიუხედავად, ზიარებოდა სპორტს.

(საქინფორმი).

ბავშვური ფანტაზიის სამყარო

ბავშვური ფანტაზიის საოცარ სამყაროში შეჰყავს მაყურებელი ნორჩი მხატვრების რატი ნარგიზიშვილისა და შორენა შელეგიას ნამუშევრები. მათი ნახატები გამოფენილია თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

ოთხი წლის რატი ნარგიზიშვილის ნამუშევრები შთაგონებულია ქართული ზღაპრების სახეებით. იგი ხატავს ბოროტ დევებს, უმწეო წიწილას, ციყვს ფიჭვის ტოტზე. ცხრა წლის შორენა შელეგიას უფრო პორტრეტები აინტერესებს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

„პროგლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

მეცნიერების ჭეშმარიტი თანაშემწე

რა დამოკიდებულებაა მეცნიერებასა და ჟურნალისტიკას შორის? რა აახლოებს შემოქმედების ამ ორ მხარეს?



ჟურნალისტის პროფესია ძველთაძველია. თვით ბერძნულ-რომაული მითოლოგია გვაცნობს „სიახლეთა სამსახურის“ მფარველს მერკურ-ჰერმესს.

თუ ჟურნალისტიკის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი მეცნიერული ინფორმაციის დაგროვებისა და გავრცელების თანამდევია. ძველად ორატორები და მაუწყებლები ზეპირად გადასცემდნენ ახალ ამბებსა და ცნობების კრებულებს, ეგვიპტეში კი ახალ ამბებს პაპირუსებით აცრცელებდნენ. ამავე მიზნით ძველი რომის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კიდებდნენ განცხადებების დაფებს, ხოლო შუა საუკუნეების ვენეციაში ახალი ამბების ბიუროც არსებობდა...

მეცნიერებაც ადამიანთან ერთად წარმოიშვა, მაგრამ იმ უძველეს ხანაში ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მეცნიერების წარმოშობის თარიღზე სხვადასხვაგვარი აზრია, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის ძველ საბერძნეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ფილოსოფიური სისტემები შეგვიძლია „მეცნიერებად“ მივიჩნიოთ ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით. მეორე თეორიის მომხრენი ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებს ასახელებენ, როცა კლასიკურ საბერძნეთში დემოკრატიის პერიოდი მეფობდა. ბევრს მისი „დაბადების წლად“ მიაჩნია XVII საუკუნე, როცა მეცნიერებამ მიღებული თეორიის სისწორის კრიტერიუმად ექსპერიმენტი აირჩია. ზოგჯერ კი მეცნიერების წარმოშობას XIX საუკუნედან ანგარიშობენ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ მეცნიერმცოდნეობის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, თანამედროვე ემპირიული მეცნიერება ოფიციალურად 1665 წელს იშვა, როცა საფრანგეთსა და ინგლისში გამოვიდა მსოფლიოში პირველი ჟურნალები. ეს ჟურნალები... მეცნიერული შინაარსისა იყო.

5 იანვარს პარიზში მრავალმხრივი ინტერესებითა და საქმიანი თვისებებით გამორჩეულმა დენი დე სალმ დაიწყო „მეცნიერთა ჟურნალის“ გამოცემა. იგი ოუწყებოდა გამოგონებებისა და აღმოჩენების ამბებს, აღწერდა საინტერესო ექსპერიმენტებს, ბეჭდავდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული ლიტერატურული, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო მეცნიერული წიგნების ანოტაციებს. მაგრამ, ცნობილი მკვლევრების სტატიებთან ერთად, ქვეყნდებოდა მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოებები და ჭორების მსგავსი ცნობებიც. კერძოდ, — მთელი სერიოზულობით მსჯელობდნენ მარტინიკის კუნძულზე „აღმოჩენილი“ ადამიანის შესახებ, რომელსაც თითქოს თევზის კუდი ჰქონდა ან იმაზე, რომ პოლონეთში ოქროსბილიანი ბავშვი დაბადებულაო.

ამავე წელს სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა დაიწყო ლონდონის სამეფო საზოგადოებამ.

მეცნიერული ჟურნალების შემდეგ მსოფლიოში ზოგადი შინაარსის ჟურნალებიც გამოჩნდა.

შემთხვევითი როდია, რომ პირველი ჟურნალები სწორედ მეცნიერული იყო, მეცნიერების წარმოშობას კი პირველი პერიოდული პოპულარული გამოცემების გამოსვლას უკავშირებენ. მეცნიერების მიზანი „სინამდვილის თეორიული ასახვა, ანუ სინამდვილის პროცესებისა და მოვლენების აღწერა, ახსნა და წინასწარმეტყველებაა“, ჟურნალისტიკა კი, ქ. მარქსის განმარტებით, საშუალებას გვაძლევს ფართოდ განვიხილოთ მოვლენები და მხოლოდ უმთავრეს მათგანზე შევაჩეროთ ყურადღება; მისი ამოცანა მიმდინარე ისტორიის მთლიანობაში ასახვაა, როდესაც მეცნიერება თანდათან გარდაიქმნა საზოგადოების მწარმოებელ ძალად და ხალხთა სოციალურ პირობებზე საგრძნობლად იმოქმედა, რა თქმა უნდა, „კალმის რაინდები“ განზე ვეღარ დარჩებოდნენ.

დღეს მეცნიერება და ჟურნალისტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული. შეიქმნა ახალი სასწავლო საგანი „ჟურნალისტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა“. გაჩნდა ახალი დარგი — მეცნიერება მეცნიერების პოპულარიზაციის შესახებ. სახელგანთქმული მკვლევარები მათ მიერ აღმოჩენილი ურთიერთსაინტერესო კანონების შესახებ ემოციურად, გატაცებით გვესაუბრებიან გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებიდან. მეცნიერებაზე პოპულარულად წერდნენ მ. ლომონოსოვი, მ. ფარადეი, კ. ტიმირიაზევი, ს. ვავილოვი, ვ. ვერნადსკი...

ყოველწლიურად იმართება საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმოებების კონკურსები. 1984 წელს კალიფორნიის პრემია — იუნესკოს საერთაშორისო პრემია, რომლითაც მეცნიერების გამოჩენილი პოპულარიზატორები ჯილდოვდებიან, მიენიჭა საბჭოთა აკადემიკოსს ი. პეტრიანოვ-სოკოლოვს. მისი აზრით, სამეცნიერო-პოპულარულსა და სამეცნიერო ლიტერატურას შორის ისეთივე თანაფარდობაა, როგორიც ოქროს და ოქროვან ქანებს შორის. და კიდევ: პოპულარული ენა სამეცნიერო ინფორმაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა, — დასძენს იგი.

მეცნიერებაზე მჭერალი დარიგიანი მასალის შექმნას ხშირად მაღალკვალიფიციური სპეციალისტიც ვერ ახერხებს. ამას ზომ, ცოდნის გარდა, მწერალისა და პუბლიცისტის ტალანტი სჭირდება. პოპულარიზატორები თარგმნენ და შუამავლები არიან მეცნიერებსა და მკითხველებს შორის. ცნობილია, მეცნიერების ნებისმიერი მიღწევა დასრულებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, როცა იგი საერთო კუთვნილება გახდება. იუნესკოს გენერალური დირექტორის მ. მბოუს აზრით, „ყოველმხრივი პოპულარიზაცია აუცილებელია, რათა საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა საშუალებებია ჩამალული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში“.

ამჟამად მსოფლიოში უკვე 300 ათასზე მეტი სპეციალური სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალია და მათი რიცხვი სულ უფრო მატულობს, ყოველწლიურად იწერება 50 ათასზე მეტი მონოგრაფია და წიგნი. ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა ინფორმაციის ახალი სახეობები: ფოტო-, კინო-, რადიო-, ვიდეო- და ტელეჟურნალისტიკა. მათი მეოხებით სამეცნიერო-პოპულარული ინფორმაციია ცოდნის ძირითად წყაროდ იქცა არა მარტო მამათთვის, ვინც ცდილობს მეცნიერების ასავალ-დასავალი გაიგოს, იგი თვით სპეციალისტებს იზიდავს თავისი ოპერატიულობით.

ვინ იცის, ამდენი სამეცნიერო მიღწევა იმისი შედეგიც იყოს, რომ ერთ ნიჭიერად შექმნილ გაზეთის გვერდს შეუძლია უცხო პროფესიის ადამიანი ცოდნის ახალ სფეროში გაიტაცოს.

ასეთ თვითნასწავლებს მეცნიერებაში ზშირად „დილეტანტებს“ უწოდებენ, მაგრამ, ისტორიაში ცნობილია დიდი გერმანელი ფილოსოფოსები ი. ბეჰე და ი. დიცგენი, რომლებიც... მეჩექმეები იყვნენ. ქიმიკოსმა სერმა გ. დევიმ სახელი გაითქვა ფიზიკური პროცესების შესწავლით, ფიზიკოსმა გ. ქირხოჰფმა, პირიქით, ქიმიაში სპექტრული ანალიზი დანერგა და რ. ბუნზენთან ერთად აღმოაჩინა ახალი ელემენტები — ცეზიუმი და რუბიდიუმი. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქიმიკოსმა ქ. ერსტედმა ფიზიკაში ელექტროდენისა და მაგნიტური მოვლენების ურთიერთკავშირი აღმოაჩინა. შვეიცარიელმა ექიმმა პარაცელსმა, ალქიმიკოსების შემდეგ, ფაქტობრივად ხელმეორედ შექმნა ქიმია, თავის მხრივ, ქიმიის პროფესორმა ლ. პასტერმა დიდი აღმოჩენით გაამდიდრა მედიცინა.

გავიხსენოთ იურისტი ა. ლავუაზიე. მან თავისითა, დამოუკიდებლად შეისწავლა ჯერ ფიზიკა, შემდეგ ქიმია და საბოლოოდ გამოიკვლია „ცანგბადის საიდუმლო. იგლისელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი დ. პრისტლი 33 წლისა ისე ჩაუღრმავდა ქიმიას და ისეთი წარმატებები მოიპოვა, რომ ლონდონის სამეფო საზოგადოების, პარიზის მეცნიერებათა აკადემიისა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. გერმანელმა მეცნიერმა გ. ჰელმჰოლცმა კენიგსბერგში ფიზიოლოგიისა და ანატომიის პროფესორის წოდებას მიაღწია. ამის შემდეგ იგი ფიზიკამ გაიტაცა და ამ დარგში ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონი — ნივთიერებათა და ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი აღმოაჩინა.

ასე სახელგანთქმულ პიროვნებათა სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. მას, რა თქმა უნდა, მომავალშიც ბევრი შეემატება, რაშიც თვის წვლილს კვლავ შეიტანს სამეცნიერო ჟურნალისტიკა.

ა. იაკობაშვილი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

4 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 10.20 — „სპორტლოტო“. 10.30 — „მაღვიძარა“. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00— „დილის ფოსტა“. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — რეჟისორ ს. ა. გერასიმოვის მხატვრული ფილმები. „შვილები — დედები“. 16.35 — კითხვის წრე. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — უკრავს პიანისტი ვლადიმერ გოროვიცი (აშშ). 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 20.05 — ახალი ამბები. 20.10 — ფილმ-სპექტაკლი „ჩემი საყვარელი ელოიუნი“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მუსიკალური ფილმ-რევიუ „საშიში მოგზაურობის მხიარული ქრონიკა“. 24.00 — საფეხბურთო მოგზაურობა. 0.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმები. 10.30 — დედის სკოლა. 11.00 — „პრაღის გაზაფხული“ — ფესტივალი 40 წლისაა. 12.00 — მ. გორკის ტრილოგია „ჩემი უნივერსიტეტები“. 13.40 — „რა? სად? როდის?“. ტელევიქტორინა. 15.15 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურიდან. ი. პაიდნი. 16.10 — მულტფილმები. 17.10 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 17.45 — ცხოველთა სამყაროში. 18.45 — ლიტერატურული ტელევიქტორინა „ავტოგრაფი“. 19.45 — „მოსკოვის სტუმრები“. 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო!“ 21.15— დოკუმენტური ტელეფილმი. 21.25 — ევროპის ჩემპიონთა თასი ხელბურთში. კიევის „სპარტაკი“ — რუმინეთის „შტიინცა“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ა. ვაქსბერგი — „ახალმოსახლეობა“. ტელესპექტაკლი. I და II ნაწილი.

5 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.10 — ა. ვაქსბერგი — „ახალმოსახლეობა“. ტელესპექტაკლი. I და II ნაწილი. 15.50 — სოფლის პორიზონტები. დოკუმენტური ფილმები. 16.40 — ცოდნა ძალაა. 17.15 — დედის სკოლა. 17.45 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი — „კარლ მარქსი“. 18.15— „ტალინის მუსიკალური სურათები“. 18.45 — „ვისწავლოთ ლენინისაგან“. 19.15 — დაჩქარება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო. 20.20 და 22.40 — ტელესპექტაკლი „რუსი მფრინავი“. 22.00 — „ვრემია“. 23.30— დღეს მსოფლიოში. 23.55 — ერთი კვირის სპორტული ამბები.

მეორე პროგრამა. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. VIII კლასი. 10.05 — რუსული მეტყველება. 11.05 — მუსიკა. მ. ი. გლინკა. 11.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.00 — ვ. შუქშინი. პროზა. 13.10 — ბუნება. II კლასი. 13.30 — გეოგრაფია. V კლასი. 14.00 — ომის წლების ლექსები და სიმღერები. 14.45 — მეცნიერება და ცხოვრება. 15.15 — „ომისდროინდელი ბავშვობა“. ვ. პანოვას ნაწარმოებების მიხედვით. 19.20 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 20.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კინოფიშა.

თბილისი

4 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — — მოამბე. 10.05 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 10.15 — სპორტლოტოს მე-18 ტირაჟი (მ.). 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.). 11.00 — ქართული ხალხური ნოველა. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — „დილის ფოსტა“. მუსიკალური გადაცემა (მ.). 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.55 — ახალგაზრდობისათვის. ეს ესტრადაა... 13.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 14.25 — მოსწავლეთათვის. „ეს სიმღერაა საქართველოსი“... 15.05 — ახალგაზრდობისათვის. „ჩვენი ლაშქარი“ პედაგოგი თამარ კიკაბიძე. 15.25 — ხალხური შემოქმედება „როცა ჩარხები დუმან“. 16.15 — „ვესტნიკი“. 16.45 — ახალგაზრდობისათვის. გასართობი პროგრამა. „კონტრა, პუნქუმ, ანუ“. 17.40 — საკვირაო გამოფენა. 17.45 — „აქტუალური ეკრანი“. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს. 18.15 — მღერის პაატა ბურჭულაძე. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. „ეს ესტრადაა“. 21.25 — ხელბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ქალთა გუნდების ფინალი. კიევის „სპარტაკი“ — რუმინეთის „მტიინცა“. რეპორტაჟი კიევიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მუსიკალური ფილმ-რევიუ „სახიფათო მოგზაურობის მხიარული ქრონიკა“. პრემიერა (მ.). 24.00 — საფეხბურთო მიმოხილვა.

5 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — — მოამბე. 10.10 — დოკუმენტური ფილმი „XII მსოფლიო ფესტივალის დღიურის ფურცლები“. 11.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რბოლა წრეზე“. 11.25 — „ერთი დღე ჭიათურის თეატრში“ (განმეორებით). 12.55 — ტელეკურსულთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 13.40 — ამიტურიენტთათვის. ქიმია. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.40 — თეატრალური აფიშა. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „გიყვართ თუ არა ბახი?“. 17.10 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. მოგითხრობთ პროფესიაზე. 17.25 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.55 — წიგნად შეკრული სხივი. სტრიქონები თქვენი წერილებიდან (გადაცემა ეძღვნება ბეჭდვითი სიტყვის დღეს). 18.40 — ჩვენი პრემიერა „გათენებიდან დაღამებამდე“. 19.00 — 1942 წლის თეატრალური თბილისი. 19.45 — დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საგაზაფხულო კინოფესტივალი „სიცილისა და სიმღერის ეკრანი“. ქართული მხატვრული ფილმი „ჩარირამა“. 23.55. — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ჩემს ბედს დავეძებ“. 18.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მოთხრობა საბჭოური მეცნიერების ისტორიიდან“. ფილმი პირველი — „მეოცნებე“.

თეატრი

4 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი ორი ვიოლინისათვის; მარჯანიშვილის სახელობის. სახელმწიფო აკადემიური — პირისპირ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მაია წყნეთელი (დღისით), კახელები ბაშზე (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული საბარალდეთ დასკვნა (დღისით, საღამოს მე-10 აბონ. მე-5 წარმ); მინიატი